# სახალხო დამცველის აპარატმა ერთმანეთთან დაპირისპირებული ქალაქ ოზურგეთის მერისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატისთვის დახურული შეხვედრა მოაწყო

**თუ საზოგადოებისთვის დახურულ სხდომებს მართავს, თუ ამ სხდომების ინფორმაციებზე არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ჟურნალისტებს ხელი არ მიუწვდებათ, მაშინ რაღა სახალხოა?!**

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მერ ბეგლარ სიორიძესა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატ ნათია შარაშენიძეს შორის კონფლიქტური სიტუაცია გრძელდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სახალხო დამცველს ლეიბორისტმა დეპუტატმა მიმართა.

27 იანვარს, 11 საათისათვის, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, სწორედ სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, შედგა დაპირისპირებული მხარეების შეხვედრა. სამწუხაროდ, ამ შეხვედრას ვერ დაეწრნენ ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და საკითხით დაინტერესებული მოქალაქეები, რადგან, როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა განგვიმარტა, შეხვედრა დახურულია და მასზე მხოლოდ დაპირისპირებული მხარეებია მიწვეული.

შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ, ჩემი აზრით, ისეთი თავისუფალი, დემოკრატიული ინსტიტუციიდან, როგორიც სახალხო დამცველის აპარატია, დახურული შეხვედრების ჩატარება მთლად ლოგიკური არ უნდა იყოს. თუ საზოგადოებისთვის დახურულ სხდომებს მართავს, თუ ამ სხდომების ინფორმაციებზე არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ჟურნალისტებს ხელი არ მიუწვდებათ, მაშინ რაღა სახალხოა?!

ასეა თუ ისე, ზოგადად ვიცით, დახურულ კარს მიღმა რა თემაზე ისაუბრეს, მაგრამ არ ვიცით, რა და როგორ. კონკრეტულობის თვალსაზრისით სიტუაცია დიდად არ შეცვლილა მხარეებთან გასაუბრების შემდეგაც.

ქალბატონმა ნათია შარაშენიძემ თავი შეიკავა ყოველგვარი კომენტარისაგან, თუმცა დაგვპირდა, რომ როცა ამის უფლება მიეცემა, ბოლომდე გვეტყვის სათქმელს:

„იცით, არ მაქვს ამის უფლება, რადგან ეს იყო დახურული

გვ-2


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №5 (10146), 1 თებერვალი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.


## სად გულიანი და სად მიხეილ გოგოტიშვილიო?!

### თუმცა, არც მთლად მასე ყოფილა საქმე

**ალიონი.** რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში წავაწყდით ბატონი მამუკა კვარაცხელიას წერილს „გულიანს უგულოები უტევენ“. ამ ინფორმაციის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს და ამჟამად საკრებულოს წევრს მიხეილ გოგოტიშვილს მეზობელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გულიანში 5 ლარად „მიუსხვისებია“ ეკონომიკის სამინისტროსგან „გასხვისებული“ 70 ჰექტარი მიწის სავარგულები და სოფლის ერთადერთი პაწია სტადიონი. მოდი და ნუ გაკვირდები. სად გულიანი და სად მიხეილ გოგოტიშვილიო?! – გაიკვირვეს სხვებმაც.

მაგრამ, როგორც თვითონ მიხეილ გოგოტიშვილმა გვითხრა, არც მთლად მასე ყოფილა საქმე:

„გულიანი ჩემი დედულეთია. 70 ჰექტარი მიწის სავარგული, რომელზეც არის საუბარი კვარაცხელიას ინფორმაციაში, მდებარეობს ე.წ. „შავის ტყეში“. სწორედ ამ ტერიტორიაზე ჰქონდა ნაკვეთი ბიძაჩემს მერაბ კაჭაძეს, რომელიც ოდილაურში ცხოვრობს. ეს 70 ჰექტარი მიწის სავარგული მან აუქციონის წესით შეისყიდა და, თავის ახლობლებთან ერთად, შექმნა შპს „შავის ტყე“. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩათ არის დაკავებული, ამიტომ, ვერჩიე, ეს კულტურა აეღორძინებინათ და ინვესტორის მოძიებაში დავეხმარე. რადგან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და ახლა საკრებულოს წევრი ვარ, ამიტომ არ მქონდა უფლება, საკუთარი ბიძისთვის რჩევა მიმეცა? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ 70 ჰექტარის შეძენა სურდა გულიანელ ლერი ნიკოლაიშვილსაც. თუ მიიჩნევენ, რომ აუქციონი არასწორად ჩატარდა, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

რაც შეეხება სტადიონს, ის სამი ჰექტარი ფართობი, რომელშიც რატომღაც სტადიონი შედის, აუქციონზე ცალკე იყო გატანილი, არავის შეუძენია. იგი არც კვაჭაძისაა და მით უფრო, – არც გოგოტიშვილის. მოსახლეობას, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ეკონომიკის სამინისტროს, გამოაყოფინონ ცალკე ის 800 კვადრატულ მეტრამდე ფართი და დაარეგისტრირებინონ, როგორც სტადიონი“.

## დიდთოვლობა გურიაში

**ალიონი.** გასულ კვირაში გურიაში თოვლის სახით უხვი ნალექი მოვიდა. თოვლმა პრობლემები შექმნა ელექტროენერგიის მოსახლეობისათვის მიწოდებაში, გასაწმენდი გახდა გზები.

25 ივარს, გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილო ელოშვილი ჩამოვიდა. „ენერგო პრო ჯორჯიამ“ რეგიონში ელექტროენერგიის მიწოდებაში შექმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად დამატებითი სარემონტო ბრიგადები შემოიყვანა სენაკიდან, ქუთაისიდან, წყალტუბოდან. ელექტროენერგიის მიწოდებაში პრობლემები ჰქონდათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის, ნატანების, შრომის, ჭანიეთის, სოფელ ოზურგეთის აბონენტებს.

- როდის მოვლენ ჩვენამდე. აცანა-აკეთის მიმართულებით გზები გაწმენდილი არ არის. სოფელ ჭანჭათში არანაირ ტექნიკას არ გაუელია. სოფელ ზემო აკეთს შუქი არ მიეწოდება, - გვატყობინებდა 26 იანვარს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათიდან ს. ც.

შპს „გზამშენი 18“ უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა გაწმენდ სამუშაოებს ჩოლოქი-ოზურგეთი-ჩოხატაური-საკაკაოს და სხვა რესპუბლიკურ გზებზე. ავტომანქანების მოცურების საწინააღმდეგოდ იყრებოდა მარილიანი ქვიშა. მუნიციპალიტეტის სოფლებში თოვლის საფარისგან გზების წმენდა ინტენსიურად მიმდინარეობდა. პრობლემები შეექმნა ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო მგისტრალზე. ადგილზე 8 ერთეული სპეცტექნიკა იქნა მობილიზებული. დამატებით თოვლსაწმენდი ტექნიკა მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოუყო. როტორის ტიპის დანადგარმა თოვლის საფარისგან ნატანების საგზაო მონაკვეთი გასუფთავა. გაიწმინდა სოფელ კონჭკათის სამანქანო გზა

ინტენსიური გაწმენდითი სამუშაოების შედეგად 29 იანვარს სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზაზე მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია, აღნიშნულ მონაკვეთზე მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა ინტენსიური თოვის შედეგად შექმნილი ვითარების გამო წინა ღამით აიკრძალა.

ქალაქ ოზურგეთში უპრობლემოდ ჩაიარა წლევანდელმა მეორე დიდთოვლიანობამაც. ქალაქის ხელისუფლებისა და დიდთოვლიანობის გამო შექმნილი კომისიის ძალისხმევით, ყველა სამსახური გამართულად მუშაობდა . უხვი ნალექისაგან გაიწმინდა მაგისტრალები, ქუჩები და ტროტუარები. ქალაქის მოსახლეობას თითქმის შეუფეხებლად მიეწოდებოდა ელექტროენერგია.

ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში დიდთოვლობის შედეგად 30-მდე საცხოვრებელი სახლის სახურავი დაზიანდა. დაზარალდა გოგუაძეების ათსულიანი ოჯახი დაბა ურეკში. ჩამონგრეულია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი. გოგუაძეები დროებით მეზობლთან ცხოვრობენ. მძიმე მდგომარეობაა სოფელ შრომაშიც. უხვი ნალექის გამო თამარ აბულაძისა და მერაბ დარჩიას საცხოვრებელ სახლებს სახურავი ჩამოეშალა. აბულაძეები ამ დროისთვის დედაქალაქში იმყოფებიან. ადგილზე იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები. სპეციალური კომისია ზარალის დათვლას შეუდგა.

**ს.ს.** როგორც ადგილობრივმა ენერგეტიკოსებმა გვითხრეს, სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულ საავარიო ბრიგადებს შორის წყალტუბელი „მაუგლიც“ იყო. იგი ყოველგვარი დამცავი საშუალების გარეშე რამდენიმე წამში იყო ასული ხის, ბეტონის ბოძის თუ რკინის ხიმინჯის წვერზე, დიდ სტიმულს აძლევდა სხვებს რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მუშაობისას.

კვირის ბოლოს რეგიონში წყლის, გაზისა და ბუნებრივი აირის მიწოდების პრობლემა არ იდგა.

გურიის რეგიონში ამ დროისთვის გაწმენდილი იყო ყველა ცენტრალური გზა და გრძელდება შიდა სასოფლო საუბნო გზების დასუფთავება. რეგიონში ამ დროისთვის აღარ თოვდა, თუმცა სინოპტიკოსების ინფორმაციით 29-31 იანვარს მოსალოდნელი იყო ტემპერატურის მატება. ამიტომ სპეცტექნიკა, რომელიც ამ დღეების განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა კვლავაც მობილიზებული გახლდათ - მდინარეებზე შესაძლო წყალმოვარდნების ან სხვა უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# სახალხო დამცველის აპარატმა ერთმანეთთან დაპირისპირებული ქალაქ ოზურგეთის მერისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატისთვის დახურული შეხვედრა მოაწყო

შეხვედრა. დაველოდოთ, როგორც კი რეალური შედეგი დაიდება და უფლება მომეცემა, აუცილებლად ბოლომდე გეტყვით ჩემს სათქმელს“.

ბატონი ბეგლარ სიორიძე კი კმაყოფილია ამ შეხვედრით, რადგან, მისი თქმით, სახალხო დამცველის აპარატისათვის მის მიერ გადაცემული აუდიო თუ ვიდეომასალებიდან ჩანს, რომ ქალბატონი ნათია შარაშენიძის ყველა განცხადება დეზინფორმაციაა და ვინც დაკავებულია მსგავსი პროვოკაციებით, ვერანაირად ვერ შეუშლის ხელს ქალაქის ხელისუფლებას ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთელებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტების განხორციელებაში:

„არა მხოლოდ ჟურნალისტები, ჩემი პრესსამსხურიც უარით გამოისტუმრეს უკან. ღია შეხვედრისთვისაც მზად ვიყავით. ვაპირებდით, ყველას თანდასწრებით გვეჩვენებინა აუდიო თუ ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ნათელს მოფენდა იმას, რომ ქალბატონი ნათია შარაშენიძე ავრცელებს დეზინფორმაციას და ეწევა პროვოკაციას ყოველდღიურ რეჟიმში.

რასაკვირველია, დიდ პატივს ვცემ ომბუდსმენსა და მთლიანად სახალხო დამცველის აპარატს, ამიტომ, საჭიროდ მივიჩნიე უშუალოდ დავსწრებოდი ამ შეხვედრას და მინდა გითხრათ, რომ კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით, რადგან, როგორც უკვე გითხარით, ყველა ვიდეო თუ აუდიოჩანაწერში ნათლად არის ასახული, რომ ის განცხადებები, რომელსაც ქალბატონი ნათია შარაშენიძე ავრცელებს, არის დეზინფორმაცია.

მინდა, ვუთხრა ქალბატონ ნათიას და ყველა სხვას, ვინც დაკავებულია მსგავსი პროვოკაციებითა და ცრუ ინფორმაციების გავრცელებით: ვერანაირად ვერ შეუშლიან ხელს ქალაქის მერიას, ქალაქის მერს, ქალაქის საკრებულოს, განაგრძონ ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთელებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტები ნებისმიერი მიმართულებით, რასაც ნათლად ხედავენ ჩვენი თანაქალაქელები.

ის, რომ ამ ზამთარში პირველი და მეორე დიდთოვლობის დროს პრაქტიკულად პრობლემები არ შეგვქმნია როგორც გზების გაწმენდის, ტრანსპორტის მუშაობის, ისე ელექტროენერგიის მოწოდების მხრივ, ამას ქალბატონი ნათია არასოდეს აღიარებს, მაგრამ ხედავს მოსახლეობა“.

# ლიხაურში თხილის მწარმოებელი კოოპერატივი იქმნება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის იდეას ლიხაურის თემის მცხოვრებლებიც იწონებენ. მათმა ნაწილმა თხილისა და ჩაის მწარმოებელი კოოპერატივების შექმნა გადაწყვიტეს. საინიციატივო ჯგუფებს სათავეში გიორგი თოიძე და ტარიელ რუსიეშვილი ჩაუდგნენ.

მოსახლეობასთან შეხვედრა ორგანიზებული იყო ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ, რომელსაც არასამთავრობო სექტორში წარმატებული საქმიანობის ოცდაერთწლიანი გამოცდილება გააჩნია.

„ელკანა“, „კავკასსერტთან“ და „ანკა ფეა თეიდთან“ ერთად, უფლებამოსილია 2013-2016 წლებში განახორციელოს პროექტი „თხილის სამართლიანი ვაჭრობისა და ბიოწარმოების ჯაჭვის აწყობა მცირე ფერმერებისათვის საქართველოში“. პროექტის დამფინანსებელია შვეიცარიული დონორი ორგანიზაცია „ჰექსეპ-ერ-ი“ „ელკანას“ სპეციალისტები – გიორგი გაბედავა, ლაშა ჭანტურია და ჯაბა ჭეიშვილი დამსწრე საზოგადოებას ესაუბრნენ თხილის მოვლა-მოყვანასთან და კოოპერატივის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ იურიდიულ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სხვა საკითხებზე. მათვე შეხვედრის მონაწილეებს გადასცეს „ელკანას“ მიერ გამოცემული ბროშურა „თხილის მოვლა-მოყვანა“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა აკაკი ღლონტმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „თხილის პლანტაციის გასხვლა-ფორმირება და სანიტარული ღონისძიებები“.

შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოში კოოპერატივების განვითარებას, საგრანტო კონკურსების გამოცხადებით და სწავლების სხვადასხვა ფორმების ორგანიზებით, ხელს უწყობენ სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციები (მაგალითად, **ENPARD**).

განმარტებულ იქნა, რომ ლიხაურში თხილის მწარმოებელი კოოპერატივის დაფუძნების შემთხვევაში განხორციელდება კოოპერატივის წევრთა თხილის ნაკვეთების მონიტორინგი. თხილის ფოთლების საშუალო სინჯი გაიგზავნება და შემოწმდება საზღვარგარეთ მოქმედ შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. სერტიფიცირებაგავლილ ნაკვეთზე მოწეულ თხილს, ადგილობრივ ბაზარზე, არსებულთან შედარებით, უფრო მაღალ ფასში შეისყიდის შვეიცარიული ფირმა. კოოპერატივში გაწევრიანებულმა მოქალაქეება უარი უნდა თქვან თავიანთ პლანტაციებში ქიმიური სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების გამოყენებაზე, რამეთუ შესაძლებელია მათი ჩანაცვლება ალტერნატიული და უსაფრთხო ბიოპრეპარატებით.

ლიხაურში თხილის მწარმოებელ ბიოფერმერთა კოოპერატივის დაფუძნებისა და განვითარების იდეა უდავოდ მისასალმებელია. ვფიქრობთ, ამ იდეის წარმატებულ განხორციელებას მხარს დაუჭერს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, მიუხედავად იმისა, ხელეწიფება თუ არა კოოპერატივისათვის რაიმე სახის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა.

**ომარ ბაკურაძე,**
ბიოფერმერი.

# ოპოზიციამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა პროვოკაციების მოწყობით გადაწყვიტა – აცხადებს ბეგლარ სიორიძე

ნათია შარაშენიძეს არ ჩამორჩა და ამჯერად, როგორც ჩანს, ყურადღების მიღმა თავი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, გოჩა ძიმისტარაშვილმა იგრძნო, თუმცა მისი ფანტაზია უჩვეულოდ შორს წავიდა.

ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ პოლიტიკური ქულების ჩაწერის მიზნით ჩადენილი პროვოკაციები უკვე ყოველგვარ ზღვარს გასცდა.

ამ დრომდე ვცდილობდი მათ უსაფუძვლო განცხადებებზე კომენტარი ყოველთვის გამეკეთებინა, რათა საზოგადოებას სცოდნოდა სად იყო სიმართლე. თუმცა მათი ცილისმწამებლური, სიცრუით სავსე ქმედებებისთვის თვალის დევნება საზოგადოებას დიდი ხანია უხდება და ჩვენი თანაქალაქელები უკვე ნათლად ხედავენ, სად არის სიმართლე და სად ტყუილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ არცერთმა ინსტანციამ დრო არ უნდა დაკარგოს მსგავს არასერიოზულ გამოხდომებზე. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია კი, თავის მხრივ, აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით, მისი სრულიად არასერიოზული შინაარსიდან გამომდინარე, დროის დაკარგვას არ აპირებს.

და ბოლოს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას ძალიან ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენი საქმიანობის სრული დრო მოქალაქეებსა და მათი კეთილდღეობისთვის ზრუნვას უნდა მოხმარდეს და არა გოჩა ძიმისტარაშვილისნაირი დეპუტატების უნიჭო პროვოკაციებზე რეაგირებას.

# გარდაბანში არჩევნები ქართული ოცნების კანდიდატმა აშკარა უპირატესობით მოიგო

გარდაბნის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის გამგებლის არცევნები „ქართული ოცნების კანდიდატმა გოჩა ჯამარაულმა აშკარა უპირატესობით მოიგო. მან თავისი ერთადერთი მეტოქე ბესიკ კახაბრიშვილი თითქმის 40%-ით უკან მოიტოვა. 29 იანვრის ინფორმაციით, ოლქში არსებული 64 უბნიდან დათვლილი იყო 63 უბნის შედეგები. ქართული ოცნების კანდიდატს ხმების 70,15% ჰქონდა მითებული, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს კი - 29,85%.


## სამადლობელი

დიდ მადლობას ვუხდით ქალაქის მერს ბეგლარ სიორიძესა და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს ლავრენტი ბიგვავას ანასეულში წარმატებით განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის.

ანასეულელთა სახელით, თამაზ ჩხარტიშვილი, გელა სალუქვაძე.

## განცხადებები

ოზურგეთის ცენტრში იყიდება კომპლექსი „არგო-რესტორანი“ 120 კვმ;
სამასკაციანი საქორწინო დარბაზი - 330კვმ.
VIP ბუხრიანი კუპე – 50 კვმ
მაღაზია – 46 კვმ
მთლიანად ან ცალ-ცალკე
ტელ. 555 75 42 09

შევიძენ ბინას კორპუსის სახლში.
ტელ. 577 60 11 88

# ბენეფიციარები სოფელ მერიაში, უსახლკაროებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ სახლში ახალმოსახლეობას მალე იზეიმებენ

თემურ მარშანიშვილი

სოფელ მერიაში, ყოფილი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე დასასრულს უახლოვდება უსახლკაროებისათვის საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც კომპანია „ატომბუდნაგლიადი“ ახორციელებს. პროექტის ღირებულება 674 ათას ლარს შეადგენს. ბენეფიციარები ახალმოსახლეობას, დაახლოებით ერთ თვეში იზეიმებენ. 90 ბენეფიციარი ისარგებლებს ამ საცხოვრებლით. უსახლკაროთათვის განკუთვნილ სახლში 90 ბინიდან 20 ერთოთახიანია, დანარჩენები კი – ორ და სამოთახიანები.

სპეციალური კომისია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებისა და საკრებულოს წევრებისაგან შედგება და რომელსაც „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ იურისტი ირაკლი პაპავა თავმჯდომარეობს, საცხოვრებელ კორპუსში შესასახლებელი ბენეფიციარების დოკუმენტაციების განხილვას უკვე შეუდგა.

ირაკლი პაპავას თქმით, წარმოდგენილ დოკუმენტაციებს განიხილავენ საკრებულოს მიერ დადგენილი წესით:

„ბენეფიციართა დოკუმენტაციებს განვიხილავთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი სპეციალური წესით. ფასდება, წარმოდგენილი დოკუმენტაციების მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს ბენეფიციარი ძირითად და დამატებით კრიტერიუმებს.

პირველ სხდომაზე წარმოდგენილი 40 დოკუმენტაციიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ასეთი, დანარჩენი, შესაბამისი შენიშვნებით, დაუბრუნდა ბენეფიციარებს, შემდგომი სრულყოფისა და კონკრეტულ ვადაში წარმოდგენის მიზნით“.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ გვითხრა, ბენეფიციარმა უნდა შეავსოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიხედვით შედგენილი ბენეფიციარის შერჩევის ფორმა ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის, ოჯახური შემადგენლობისა და პირადი ნომრის ჩვენებით. მანვე გაგვაცნო, ასევე საკრებულოს შესაბამისი დადგენილების მიხედვით შედგენილი, ბენეფიციარის შერჩევის ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები.

მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით, ვაქვეყნებთ ამ კრიტერიუმებს და ქულობრივ შეფასებებს.

ძირითადი კრიტერიუმები:

ა) სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული პირი (ოჯახი), რომლის საცხოვრებელი სახლი დანგრეულია ან დაზიანებულია სტიქიის შედეგად და ექვემდებარება რეაბილიტაციას – 10 ქულა;

ბ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირი (ოჯახი), რომლის საცხოვრებელი სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას – 7 ქულა;

გ) მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე უსახლკარო პირი (ოჯახი), რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო – 10 ქულა;

დ) მუნიციპალიტეტში მრავალბინიან სახლში მცხოვრები პირი (ოჯახი), რომლის საცხოვრებელი ბინა ამორტიზებულია, საცხოვრებლად გამოუსადეგარია, რის თაობაზეც არსებობს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის შესაბამისი დასკვნა – 7 ქულა;

დამატებითი კრიტერიუმები:

ე) ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად (1,5 ქულა), მნიშვნელოვნად (1 ქულა) ან ზომიერად (0,5 ქულა) გამოხატული შშმ პირები (ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა (თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით), რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერით - შესაბამისი ქულა;

ვ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახი – 1.0 ქულა;

ზ) ოჯახის წევრი ან წევრები პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირია (პირებია) –1.5 ქულა;

თ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია (1.5 ქულა), ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001-ზე (1.2 ქულა), ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა 57001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე (0.9 ქულა), ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა 60001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 65001-ზე (0.6 ქულა), ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა 100001-ზე ნაკლებია (0.3 ქულა) – შესაბამისი ქულა;

ი) ოჯახი, რომელსაც მარჩენალი ჰყავს გარდაცვლილი ან/და უგზო-უკვლოდ დაკარგული;

კ) მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი/ წევრები. მუდმივად მწოლიარე (0.5 ქულა), ფსიქიკური ფუნქციის დარღვევა (0.5 ქულა) ონკოლოგიური ავადმყოფი (0.5 ქულა), უნდა არსებობდეს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა. ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში ფორმა №50/2 – შესაბამისი ქულა;

ლ) ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან ოთხზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი – 1.0 ქულა;

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთობლივად აკმაყოფილებს „ე“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ რამდენიმე კრიტერიუმს, მაშინ მას ქულა ენიჭება იმ კრიტერიუმით, რომელიც ითვალისწინებს უფრო მაღალ ქულას.

# ასკანელთა პრობლემები: ბახვი–ასკანის გზის მშენებლობა, ასკანისათვის მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მინიჭება, 1893 წელს გახსნილი ბიბლიოთეკის აღდგენა

**ალიონი.** მიუხედავად ძლიერი თოვლისა და ქარბუქისა, სოფელ ასკანის მაჟორიტარი დეპუტატის ილია მამალაძის სადეპუტატო ანგარიშს საკმაო დამსწრე ჰყავდა.

ილია მამალაძემ ისაუბრა იმ აქტივობებზე, რაც უნდა გააკეთოს დეპუტატმა როგორც უშუალოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან ურთიერთობაში.

შეხვედრას უძღვებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია.

- გაკეთდა 1 200 000 ლარად ღირებული მთისპირი-ასკანა-მზიანი-მშვიდობაურის წყალსადენი, გარემონტდა საბავშვო ბაღები, გაკეთდა ვაშალომიძეების უბნის გზა, რომელიც უმოკლესია აქედან ჩოხატაურის მიმართულებით. მუნიციპალიტეტთან. მუშაობს ავტობუსი, რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრში სამ რეისს აკეთებს.

მწვავე საკითხთა შორის ბახვი-ასკანის გზის მშენებლობა დასახელდა, რომლის საპროექტო ღირებულება 4,2 მილიონ ლარს აჭარბებს.ასევე ასკანისათვის მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მინიჭება მოითხოვეს..

,,სოფელ ასკანაში 1893 წელს, გურიაში პირველი სამკითხველო გაიხსნა. ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა იყო ვიდრე დაახლოებით 10 წლის წინათ წინა ხელისუფლება გააუქმებდა

—რატომ გააუქმეს-მეთქი? - ვიკითხე.

-არავინ არ გყავდათ პატრონი და იმიტომ,- მიპასუხეს..7000 წიგნი დღემდე ინახება აქ‘, –.ვანაცხადა ყოფილმა ბიბლიოთეკარმა ნუნუ ვაშალომიძემ.

– ამ თემაზე არ მოგიმართავთ, მობრძანდით, ვისაუბროთ და ჩამოვყალიბდეთ, – უთხრა კამათში გამოსულ ქალბატონს მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

,,80 წელს გადაცილებული და-ძმა ვართ. წინა ხელისუფლება მდევნიდა იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა სია შევადგინე. სოციალური დახმარება მოგვიხსნეს. ახლა, იმის გამო, რომ ჩემი და ვერ ჩავიყვანე ნოტარიუსთან (ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო) პენსიაც შეგვიჩერეს‘‘...

დავით დარჩია, მერაბ ჭანუყვაძე ასკანელებს პრობლემების გადაჭრაში დახმარებას დაპირდნენ. თუმცა, მათი თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ გაწვდება ბახვი-ასკანის გზის მშენებლობას და დონორი უნდა მოძებნონ. ასევე აპრილამდე უნდა დაელოდონ მთავრობის გადაწყვეტილებას, რა ცვლილებები შეავა სოფლებისთვის ,,მაღალმთიანის‘‘ სტატუსის დამატებით მინიჭებასთან დაკავშირებით.

პრობლემების მოგვარების გზებზე ასკანელებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძე ესაუბრა.

# სკოლებში დროებით შეჩერებული სასწავლო პროცესი დღეს განახლდება

ისევე, როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტშიც, დიდთოვლიანობის გამო, გარკვეული პრობლემები შეექმნათ საჯარო სკოლებს. სასწავლო პროცესის დროებით შეჩერებამ პიკს მიაღწია 26-27 იანვარს. ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის **ლელა იმედაშვილის** 28 იანვრის ინფორმაციით, სასწავლო პროცესი დროებით შეჩერდა თემთა მუნიციპალიტეტის 20 სასწავლო დაწესებულებაში:

,,სასწავლო პროცესი დროებით შეჩერდა სოფლების – ბაილეთის, გაღმა დვაბზუს, ზემო ნატანების, თხინვალის, კონჭკათის, მაკვანეთის, მელექედურის, მერიის, მშვიდობაურის, ნაგომარის, ორმეთის, სილაურის, შრომის, ციხისფერდის, ძიმითის, ჭანიეთის, ხრიალეთის, ჯუმათის, დაბების – ლაითურისა და ნარუჯის საჯარო სკოლებში‘‘.

სამედნიეროდ, სასწავლო პროცესი არ შეჩერებულა ქალაქ ოზურგეთის არც ერთ საჯარო სკოლაში.

იმედაშვილის თქმით, სოფლის სკოლებში სასწავლო პროცესის შეჩერების ერთადერთი მიზეზი, დიდთოვლიანობის გამო, გაკვეთილებზე მოსწავლეების გამოუცხადებლობაა:

,,აღნიშნული სოფლების სკოლებში სასწავლო პროცესის დროებით შეჩერების ერთადერთი მიზეზი, დიდთოვლიანობის გამო, გაკვეთილებზე მოსწავლეების ვერგამოცხადებაა. ამ ტერიტორიულ ერთეულებში ძირითადად ცენტრალური გზების გაწმენდა მოხერხდა, შიდა გზები კი ჯერაც თოვლითაა დაფარული და მოსწავლეების უმეტესობას გაუჭირდა სკოლამდე მისვლა, რასაც ვერ ვიტყვით პედაგოგებზე. იმის გამო, რომ ზოგ სკოლაში მოსწავლეები ამ მიზეზით საერთოდ ვერ გამოცხადდნენ, მასწავლებლებმა ვერ შეძლეს გაკვეთილების ჩატარება‘‘.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ არც ერთ სკოლაში არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი გრიპიანობის გამო:

,,სამედნიეროდ, სასწავლო პროცესი არც ერთ სკოლაში არ შეწყვეტილა გრიპის ვირუსის გავრცელების გამო. ეს მაჩვენებელი ჩვენს სკოლებში 2-დან 10%-ის ფარგლებში მერყეობს. რასაკვირველია, უმჯობესია ნულს გაუტოლდეს. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ამ თვალსაზრისით სასწავლო პროცესი დროებით შეჩერებას მაშინ ექვემდებარება, როცა გრიპიანობა 20%-ს აღემატება. უნდა გითხრათ, რომ ყველა სკოლაში ტარდება დილისა და შუადღის ანგარიშები, რომელიც ოგზავნება სამინისტროში, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მყისვე იქნეს მიღებული შესაბამისი ღონისძიება.

სკოლებიდან გვიგზავნიან ყოველდღიური მონიტორინგის შედეგებს, რაც მაძლევს საფუძველს ვთქვა, რომ ამ სკოლებში სასწავლო პროცესი საკარაუდოდ პარასკევს, უეჭველად კი ორშაბათს, 1 თებერვალს განახლდება.

და ბოლოს, როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, სკოლებში არ არის გათბობის პრობლემა:

,,როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლებში მოხსნილია გათბობის პრობლემა. ქალაქის ყველა სკოლა გაზიფიცირებულია, ხოლო სოფლის სკოლები უზრუნველყოფილია შეშით‘‘.

# საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ვეტერანები ადგილობრივი ხელისუფლებისგან მეტ ყურადღებას ითხოვენ

**ალიონი.** შარშან, 29 დეკემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გურიის ვეტერანთა დაცვის კომიტეტის შექმნის ცერემონიალი შედგა, რომელსაც ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ვეტერანი მებრძოლები, ასევე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამ შეხვედრაზე ვეტერან მებრძოლთა დაცვის კავშირის თავმჯდომარე **გენო ჭელიძემ** ხელისუფლების მისამართით საკმაოდ მკაცრი განცხადება გააკეთა:

**—ჩვენი ამოცანა ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებაა, არ გვინდა ვეტერანი შიმშილით იოუპებოდეს, რისი საფრთხის წინაშეც დგას კიდეც გარკვეული ნაწილი. სახელმწიფო არ უნდა უწყობდეს ხელს ვეტერანთა შიმშილით სიკვდილს. ჩვენი ამოცანაა ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებების გატარება, ამიტომაც ვაცხადებთ სრულ მზადყოფნას, ორგანიზაცია შესთავაზებს პროექტებს ხელისუფლებას, რათა დაცული იყოს ვეტერანის მატერიალური მდგომარეობა საქართველოში.**

ამ შეხვედრის შემდეგ ერთი თვე გავიდა. ვეტერანები ამჯერად გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მოვიდნენ და თავის გულისტკივილზე გვიამბეს.

—არ იფიქროთ ჩვენ რეალურად არ ვუყურებდეთ ომის ვეტერანებზე შესაძლო დახმარების საკითხს. ჩვენ გვინდა, რომ ხელისუფლებამ დაგვასაქმოს. ვიცით, რომ ახალი საწარმოები იმდენად მცირე მუშახელზეა გათვლილი, იქ ვეტერანებისთვის ადგილი არ რჩება, მაგრამ ხომ შეიძლება ომის ვეტერანები, რომელთა შორის არაერთი მშენებელი, დურგალი, სანტექნიკის სპეციალისტია, ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩართონ? ჩვენ დავთვალეთ, ინფრასტრუქტურულ პროექტებში 80-მდე ვეტერანის დასაქმება შეიძლება.

გარდა ამისა, გვაქვს კონკრეტული პროექტი, მეცხოველეობის ფერმა გვინდა გავაკეთოთ დაბა ლაითურში. მესმის, ამისათვის საჭირო 1800 კვადრატული მეტრი აუქციონის წესით უნდა შევიძინოთ, რასაც გავაკეთებთ, მაგრამ ხელისუფლებისგან, ფონდებიდან დახმარება დაგვჭირდება. ჩვენ ამ ფერმაში გვეყოლება ძროხები, ღორები, კურდღელი და ნუტრია. თუ დაგვეხმარებიან, 30 ვეტერანს დავასაქმებთ.

*— ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორი ირაკლი შიხიაშვილი ვეტერანებს ქვეყნის სასაზღვრო ზოლში ჩასახლებას და იქ სათანადო პირობების შექმას სთავაზობს...*

— ეს დიდი ეროვნული საქმეა და იგი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. ალბათ რეგიონშიც იქნებიან მსურველები, რასაც ჩვენ მივესალმებით..

*— თქვენ სახელმწიფოსაგან ვერანაირ თანადგომას ვერ ხედავთ?*

— დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა გვითხრა, სარიტუალო ღონისძიებებისათვის 250 ლარია გამოყოფილი. კი ბატონო, მკვდრის პატრონს დაეხმარებიან ვეტერანი მებრძოლის დაკრძალვაში, მაგრამ ცოცხლებსაც გვინდა ყურადღება.

არ მინდა გაკეთებულზე თვალი დავხუჭო. ირაკლი შიხიაშვილის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ჰოსპიტალი, რომელიც ომის ვეტერანებს ემსახურებოდა, კუზანოვის კლინიკასთან გადაიტანეს და დღეს იქ საუკეთესო პირობებია. მაგრამ ვეკითხებით ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, თუ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ახერხებს და ვეტერანთა შეჭირვებულ ოჯახებს 50 ლარით ეხმარება, არ შეუძლია იგივე გააკეთონ ოზურგეთში? თვითონ კარგად ირიგებენ პრემიებს და ვეტერანებისთვის თანხა არ აქვთ?— გვითხრა მან.

გენო ჭელიძის თქმით, ის ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რომ ვეტერანებსს უკეთესი პირობები შეექმნათ.

# „ვარიაციები „წითელქუდას“ თემაზე“

**ალიონი.** მიუხედავად ზამთრის ცივი ამინდებისა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი ახალ სპექტაკლზე მუშაობს და ყოველდღიურად რეპეტიციებს ატარებს. თუ რა სიახლეებია თეატრში, ამაზე თეატრის დირექტორს **ლაშა კუტალაძეს** ვესაუბრეთ:

- საინტერესო სპექტაკლზე ვმუშაობთ. მოწვეული რეჟისორი ვახტანგ გიგინეიშვილი დგამს ჟან პეროს მიხედვით, მის მიერ ინსცენირებულ სპექტაკლს „ვარიაციები „წითელქუდას“ თემაზე“,. პრემიერა სავარაუდოდ თებერვლის შუა რიცხვებში გვექნება.

— თოვლმა ხომ არ შეგიშალათ ხელი მაყურებლებთან ურთიერთობაში?

— 2 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით უფასო სპექტაკლები ვაჩვენეთ ნორჩ მაყურებელს. ეს სპექტაკლები ქალაქ ოზურგეთის მერიამ დააფინანსა.

14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს წარმოვადგინეთკიდევ ერთი სპექტაკლი

ჩვენ გურიის შშმ პირთა ასოციაციასთან ვართ დამეგობრებული და მათ ოფისში ვმართავთ საქველმოქმედო სპექტაკლებს. იქ ვიყავით ახალი წლის წინა დღეებში, საშობაოდაც..

ჩვენი თეატრის სპექტაკლებზე უფასოდ დასწრება შეუძლიათ სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს, უფასო სპექტაკლებს ვმართავთ ყველა კვირას, 13 საათზე.

## თვალსაზრისი

# ხალხს ეშლება...

ფარდობითობის თეორიიდან ერთ-ერთი შედეგი ჯერჯერობით ის არის, რომ მისი ავტორი აინშტაინი ღმერთის მორწმუნე გახდა, ეს მაშინ, როცა ენციკლოპედისტმა დენი დიდრომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი უარყო მისი არსებობა.

მაინც ყველაზე დამატყვევებელია (უკეთესი გაგებით) ვოლტერის ნააზრევი: „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, მისი მოგონება დაგვჭირდებოდა“, რაც სრული ჭეშმარიტებაა, ვინაიდან ურწმუნო ადამიანი ნადირზე უარესია.

ხალხს ის ეშლება, რომ სატანა წარმოუდგენიათ აუცილებლად რქებით, კუდით და ჩლიქებით.

როგორ გეკადრებათ, სატანა და სატანისტები ჩვენს გვერდითაა, რომლის უპირველესი საზრუნავია დაამტკიცოს თავისი არარსებობა. ნორმალურმა საზოგადოებამ კი ის უნდა გამოაშკარაოს და ნაცვლად გულგრილობისა, იაქტიუროს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანაში.

როცა სააკაშვილმა პრეზიდენტის რანგში არასრულწლოვან ბავშვებს ბუჩქებისაკენ მიუთითა, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, ეშმაკისეული ცდუნება იყო, არავინ ყურადღება არ მიაქცია, ეს მაშინ, როცა ქრისტიანულ ეკლესიას მინიმუმ ანათემაზე უნდა გადაეცა ამ საქციელისათვის...

რა, ციხის კადრები იყო თუ ე. წ. „კასრებში“ მოძიებული პირადი ცხოვრების ამსახველი ძალადობა, სატანის დაკვეთით და სატანისტების ნამოქმედარი არ არის??? როგორ შეიძლება მსგავსი ამაზრზენი საზიზღრობა საზოგადოებამ დათმოს, არ გამოიძიოს და შესაბამისი ღონისძიება არ გაატაროს, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს?

მილიარდზე მეტი კათოლიკეა მსოფლიოში და მიმაჩნია, რომ ისინი ერთსულოვნად მეტი პატივისცემითა და სიყვარულით არიან განწყობილი მათი ეკლესიებისა და რომის პაპის მიმართ, ვიდრე მართლმადიდებლები თავიანთი ეკლესიებისა და პატრიარქებისადმი, (მიუხედავად იმისა, რომ მის წიაღში მოხვედრილან მეკობრე ბალთაზარ კოსა, მეძავი პაპესა იოანნა და უამრავი სხვა) რისი მტკიცების უფლებას მაძლევს საკუთარი დაკვირვებები.

როცა დასავლეთ უკრაინის ქალაქ ლვოვში, რომის პაპის იოანე პავლე მეორეს ვიზიტის მოლოდინში იყვნენ, უნდა გენახათ დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, მდიდარი და ღარიბი, მშიერი და მაძღარი როგორი აუწერელი ბედნიერი სახით ელოდნენ დედამიწაზე ღმერთის ნაცვალის გამოჩენას, ანუ ყველას სახეზე ვხედავდი ჭეშმარიტ მორწმუნეს, — დიახ, მორწმუნეს და არა „ფალშს“.

„ფალში“ ყველგან და ყველაფერში გვახასიათებს ჩვენ. დიდი კულტურის პრეტენზიის მქონე ქართველები, მეტიც „ბომონდი“, — ქორწილი იქნება, ნათლობა თუ ქელეხი, — პატრიარქის სადღეგრძელოს ფეხზე ხვდებიან, ხოლო უფლის სადღეგრძელოს დამსხდარი მიირთმევენ. ვინაიდან არ გახლავართ კომპეტენტური რელიგიურ საკითხებში, არაფერს ვამტკიცებ, მხოლოდ გეკითხებით: თუ უფალი მათ ფეხზე წამოდგომას არ იმსახურებს, მისი უწმინდესობა, რა, უფალზე მაღლა დგას? არის თუ არა ეს ფაქტი ერთნაირად შეურაცხმყოფელი როგორც უფლის, ასევე პატრიარქის მიმართ.? გვაქვს თუ არა აქ საქმე ლემენტალურად პრიმიტიულ მლიქვნელობასთან?!

საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში, როცა მილონობით ადამიანი შიმშილითა და სიცივით იხოცებოდა, ე. წ. „ოლიგარქები“ ყოველდღიურად რამდენიმე მილიონ დოლარს იჯიბავდნენ... ღმერთისეული იყო და არის ყოველივე ეს თუ სატანისტური?

იურიდიული მეცნიერება, რომელმაც სახელმწიფო ღალატი და ხალხის გაძარცვა „გააპრავა“, ქრისტიანულია???

ქრისტიანულია ბატონი ივანიშვილის ახირებით ციხისძირის უნიკალური ბაღიდან 150-წლიანი უნიკალური ჯიშის ხეების ამოგლეჯა და სპეციალური ბორანებით მის მამულში გადატანა??? იმ ასტრონომიული თანხებს, რაც ამ უსარგებლო, უიმედო და უპრეცედენტო ახირებაში დაიხარჯება, მორწმუნე მართლმადიდებელი სულ სხვა პრობლემებს მოახმარდა, იმ პრობლემებს, რომელთა გადაუწყვეტლობის გამო ინგრევა საქართველო.

რატომ უნდა ვიფიქროთ, როცა ფაქტი სახეზეა, რომ სატანა არ ააგებს ტაძარს, არ აღადგენს ეკლესიებს და არ ივლის თითქოს სალოცავად??? ამას გინდ ცინიზმი დაარქვით და გინდ სტრატეგია.

მახსენდება, საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში ცნობილი კინორეჟისორი სტანისლავ გოვარუხინი იხსენებდა ბიბლიურ წინასწარმეტყველებას:

„ჩესტ პანიზიტსია,
ნიზოსტ ვაზვისიტსია,
ობშესტვენნიე დომა სტანუტ პუბლიჩნიმი,
ა ლიცო პაკალენია — საბაჩიმ“.

**გრამიტო (გერმანე) მამინაშვილი**

551 95 75 22.

**P.S.** თუ ბიბლიაში მსგავსი წინასწარმეტყველება არის სინამდვილეში, კარგად გვქონია საქმე.

# შალვა რადიანის წიგნის „გარდასულ დროთა მატიანე“ პრეზენტაციაზე

**ალიონი.** 22 იანვარს, ქალაქ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შალვა რადიანის წიგნის „გარდასულ დროთა მატიანე“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი ვანო ჩხარტიშვილის და ნანა გოთუას დაფინანსებით გამოიცა.

უნივერსიტეტში პრეზენტაციას ესწრებოდნენ შალვა რადიანის თანადროულნი, ოჯახის წევრები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, დელეგაცია ოზურგეთიდან.

„წიგნის სათაურში გაცხადებულია, რომ იგი მოიცავს წარსული დროის მოგონებებს და ეძღვნება XX საუკუნის გამოჩენილ კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის, პროფესორ შალვა რადიანის ცხოვრების და მძიმე პერიოდის მოღვაწეობას, როდესაც სულიერი ატმოსფერო მინავლებული გახლდათ, მაგრამ ერის კულტურული ცხოვრება გადარჩენისთვის იბრძოდა. ამ თითქმის გაუსაძლის პირობებში შალვა რადიანი თავისი მოღვაწეობით თავადაც იკვლევდა გზას და თანამემამულე კოლეგებსაც ხელს აშველებდა, რათა ძირითადი ძარღვი ძლიერი ქართული ლიტერატურის ისტორიისა არ გაწყვეტილიყო“–აღნიშნა თავის გამოსვლაში წიგნის რედაქტორმა **ცისანა გენძეხაძემ.**

შალვა რადიანის წიგნის გარშემო ისაუბრეს ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა, პროფესორმა **გურამ ბენაშვილმა,** ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარე **ინესა მერაბიშვილმა**, პროფესორმა **ვალერი ასათიანმა,** ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ირმა რატიანმა,** შალვა რადიანის სახელობის სტიპენდიანტმა, უნივერსიტეტის დოქტორნტმა **ინგა მილორავამ,** შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული სახლ-მუზეუმის დირექტორმა **ნინო ჯაველიძემ** და სხვებმა.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის და იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია XX საუკუნის კატაკლიზმით, სიმკაცრით, ამასთანავე, მაინც სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე დრო, რომელიც, ასე თუ ისე, ღირსეულად გამოატარეს ქართველმა მეცნირებმა პროფესორ შალვა რადიანთან ერთად.

# ჩვენი გალაკტიონი

## (წიგნიდან „გარდასულ დროთა მატიანე“)

**გალაკტიონი, შალვა რადიანი, ქეთევან ირემაძე**

გალაკტიონთან ოცდაათ წელზე მეტი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ხშირად ვხდებოდით ერთმანეთს, ვსაუბრობდით. ამ საუბრებში მას მრავალჯერ გამოუთქვამს თავისი პოეტური მრწამსი, თავისი შეხედულება ამა თუ იმ მწერალზე, საგანსა თუ მოვლენაზე. მის გამონათქვამს მაშინვე ვიწერდი. ახლა ვთავაზობთ მკითხველს ამ ჩანაწერს.

ეს იყო 1919 წელს. ერთ-ერთ იმდროინდელი ქართული გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ფანქრით შესრულებული ნახატი – ახალგაზრდა კაცის შთაგონებული სახე. ფართო, ნათელი შუბლი, უკან გადავარცხნილი შავი თმა, მეტყველი, დიდი თვალები იმ დღიდან ჩამებეჭდა მეხსიერებაში. ეს სურათი გაზეთის რამდენიმე ნომერში მეორდებოდა პოეტის შემოქმედებითი საღამოს მოწყობასათან დაკავშირებით. ეს შემოქმედებითი საღამოები მიძღვნილი იყო გალაკტიონის მიერ იმხანად გამოქვეყნებული მეორე წიგნისადმი.

გონებაში ღრმად აღმებეჭდა სურათზე გამოხატული რომანტიკული სახე. ეს ჭეშმარიტი პოეტური გარეგნობა დიდხანს წარუშლელად მედგა თვალწინ.

1920 წლის ბოლოს შემთხვევა მომეცა, პირადად გავცნობოდი და მესაუბრა დიდ ქართველ პოეტთან. მაშინდელ ქალაქ ოზურგეთში გიორგი ქუჩიშვილმა და გალაკტიონ ტაბიძემ მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურულ-შემოქმედებით საღამოში. გიორგი ქუჩიშვილი სადად იყო ჩაცმული. გამხდარი და ფერმკრთალი იყო. გალაკტიონი კი იმნაირად ვიხილე, როგორც გაზეთში გამოქვეყნებულ პორტრეტში იყო აღბეჭდილი. ეცვა შავი კოსტიუმი. დარბაზში ტევა არ იყო. გიორგი ქუჩიშვილმა თავისი ხმით წაიკითხა რამდენიმე ლექსი, მათ შორის „ვინც ეწვევა საქართველოს.“ დამსწრეთ დიდად მოეწონათ. გ. ქუჩიშვილი ტოვებდა ხალხური პოეტის შთაბეჭდილებას, გალაკტიონი კი უფრო მეტად კამერული, არისტოკრატული პოეტისას. გალაკტიონმა მოხიბლა მსმენელები. მას სასიამოვნო, ნაზი ხმა ჰქონდა და მეტად გულშიჩამწვდომად ისოდა მისი ლექსები. ლექსის კითხვისას მთელი ძალით აჯადოებდა მსმენელს. მან დიდი განცდით წაიკითხა „მე და ღამე,“ „მერი,“„მთაწმინდის მთვარე.“ ლექსის კითხვის დროს მისი ხმა ცოტათი მიყრუებულად და მთრთოლვარედ გაისმოდა. იგი ყოველთვის ასე კითხულობდა თავის ლექსებს.

გალაკტიონი და გიორგი რამდენიმე დღე დარჩნენ ოზურგეთში. მოსწავლეები არ ვშორდებოდით სახელოვან პოეტს, ათას რამეს ვეკითხებოდით. გალაკტიონი გულდასმით გვისმენდა, გვირჩევდა სწავლას და პოეზიის სიყვარულს. მახსოვს, ასე გვეუბნებოდა: ქართველები უპირველეს ყოვლისა, პოეზიით უნდა ვამაყობდეთ. ჩვენი დიდება, ჩვენი ისტორია რუსთაველიაო. განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებდა იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს. ეს არის ჩვენი მიუსე, ლამარტინი, და ლერმონტოვიო. გალაკტიონმა წაგვიკითხა ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე.“ ახლა ყმაწვილებო, ჩემს ლექსს წაგიკითხავთო. წაიკითხა „პოეტი,“ „ცამეტი წლისა ხარ“ და მერი. ჩვენ ვთხოვდით კიდევ წაეკითხა თავისი ლექსები. უარი არ უთქვამს. წაგვიკითხა კიდევ ერთი ლექსი „მესაფლავე.“...

# მისრეთის ფასისგან ნაჩუქარი მერანი

*გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი*
*და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი*

**ნიკოლოზ ბარათაშვილი.**

გურიასა და მთელ საქართველოშიც, კარგად იცოდნენ კარგი ცხენების ფასი. ადრე კიდეც ბევრი შემოჰყავდათ, როგორც იმერ-კავკასიიდან, ასევე - არაბეთიდანაც.

იმერ-კავკასიური მერნები უმთავრესად წითელი და ყორნის ფერნი იყვნენ, ხოლო არაბულნი – შავი.

შავი ფერის იყო რუსთაველის პოემის მთავარი გმირის ტარიელის მერანიც.

მერნები არც გურიის მთავრისა თუ უფლისწულთა საჯინიბოებისათვის იყო უცხო. ისეთი გზით შემოსული მერანი, როგორიც დავით უფლისწულს ება ლესაში კი, მართლაც იშვიათობა გახლდათ.

ესა მერანი, როგორც დაუვიწყარი იონა მეუნარგიას ერთი ჩანაწერიდან ირკვევა, უფლისწულისათვის „მისრეთის ფაშას“ უჩუქებია.

მისრეთი ეგვიპტის მეორე სახელი იყო და საქართველოშიც საკმაო ტრადიციისა.

ეს სახელი რაიმე დავას არ იწვევს, მაგრამ უცნობია იმ ფაშის ვინაობა, ვინაც ეს მერანი უფლისწულს აჩუქა.

ბატონი იონა არ დაინტერესებულა ამ საკითხით, თორემ მის დროს ამის გარკვევა გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ეს ჩვენს დროსაა.

გურიაში 1951 წელს მოგზაურობისას ჩვენი მთავარი მიზანი გურიის 1841 წლის აჯანყების მონაწილეებზე ზეპირსიტყვიერი ცნობების შეგროვება გახლდათ, მაგრამ ხანდახან სხვა რიგის ისეთ ჩვენებებსაც გადავეყრებოდით, რომ მათი გვერდავლობა შეუძლებელი იყო. ასე შემორჩა ჩემს ხსოვნას დავით უფლისწულის მერანზე ის გადმოცემა, რომელიც მამისაგან გაეგონა ზემოჩიბათელ კირილე ჭყონიას.

„ჩვენ ჩვენივე თემის (ჩიბათის) აზნაურ ჭყონიას ყმა-გლეხები გახლდით ბატონყმობის გაუქმებამდე. ჭყონიები კი დავით ბატონიშვილის ყმები იყვნენ და დღენიადაგ მისი სასახლის კარზე ტრიალებდნენ. ამის გამო მათ ამ სასახლის თითქმის ყოველი წვრილმანი იცოდნენ, მათ შორის ლესაში არაბული მერანის გამოჩენაც.

რადგან მამაჩემი ახლოს იყო თავისი მებატონის კართან, ამის გამო ის ასე თუ ისე უფლისწულის სასახლის ამბებსაც ინტერესით უგდებდა ყურს და ბევრი რამ იცოდა.

კირილე ჭყონიას მამის მებატონის ცნობით, „არაბული მერანით ზემო გურიას 1854 წლის 26 მაისს ესტუმრა მისრეთის ფაშა. იგი, ქართული წარმოშობის ორ ფაშასთან (ხასან თავდგირიძე და დუმბაძე) წინ უძღოდა ოსმალეთის იმ კორპუსის (35 ათასიანი) ავანგარდს, რომელიც მაშინ უკვე ლანჩხუთს იდგა.

ეს ლაშქარი ლანჩხუთს ნასამხრევს შემოვიდა და ღამის გასათევად მოემზადა, რომ ადრე დილით ნიგოითისკენ დაძრულიყვნენ, სადაც მაშინ რუსთა და ქართველ მოხალისეთა გაერთიანებული ჯარების მეწინავე ნაწილები იყვნენ დაბანაკებულნი.

ქობულეთის ფაშას, ხასან თავდგირიძეს მოესურვა ბრძოლის წინ კარგი ლხინი, როგორც ეს ძველთაგანვე მოდგამდათ ქართველებს და უმდიდრეს და ხელგაშლილ უფლისწულ დავითთან სტუმრობა გადაწყვიტა.

ამის საწინააღმდეგო არც სხვა ფაშებს აღმოაჩნდათ რაიმე და ისინი რიბირაბოზე ეწვივნენ საუცხოო მასპინძელს.

მართალია, 1854 წლის მაისში დავით უფლისწული აღარ იყო ისეთი რუსთმოძულე, როგორც ამას ხასან-ფაშა ფიქრობდა, მას უფრო ის დავითი ახსოვდა, რომელიც ოსმალეთს გადახვეწილი გურიის დედოფალ სოფიოს (წერეთლის) ამალას აშშვენებდა. მაშინ უფლისწული 26 წლისა იყო მხოლოდ (უცოლშვილოც), გურიის სამთავროს დიდი ერთგული და მისი მტრებიც, ცხადია, ძალიან სძაგდა. მაგრამ სოფიოს გარდაცვალების შემდეგ (1932წ.) იგი შინ დაბრუნდა და განადგურების პირზე მისული თავისი მხარე აღადგინა და მოაწესრიგა. კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვიც კი ისტუმრა მალთაყვის სასახლეში და ნორმალური ურთიერთობა გამართა კავკასიის ხელისუფლებასთან.

დიდი ომის წინ ოსმალო ფაშების ლესას წვევა არც ისე იოლად მოსანელებელი გახლდათ უფლისწულისათვის, მაგრამ ის ისეთი სიმამაცის კაცი ბრძანდებოდა, რომ ჩვეული გულწრფელობით მიიღო დაუპატიჟებელი სტუმრები.

ასეთმა მიღებამ ისე იმოქმედა მისრეთის ფაშაზე, რომ თავისი მერანიც კი უძღვნა მას. სამაგიეროდ მასპინძელმა თავისი შესანიშნავი ყარაბაღული ულაყი აჩუქა სტუმარს.

დიდი ქართული ლხინი, რომელსაც უფლისწულის კარის მოხელეებიც (თავადები და აზნაურები) ესწრებოდნენ, არც ისე მცირედ დილამდე გაგრძელდა.

დილით კი ფაშები ლანჩხუთისაკენ გაეშურნენ და სულ მალე სამივემ იქ პოვა თავიანთი სამუდამო განსასვენებელი“ (20. 07 1951. ზემო ჩიბათი, ლანჩხუთის რაიონი).

მას შემდეგ, რაც ეს გადმოცემა ჩავიწერეთ, დიდი დრო (7 ათეულ წელზე მეტი) გავიდა, მაგრამ ჩვენ მასზე ხმა არ დაგვიძრავს, რადგან ამ ზეპირი გადმოცემის შემოწმებას ვფიქრობდით. მაგრამ, ეს სამწუხაროდ, დღემდე არ მოხერხდა. ისევ არქივის სიბნელეში დატოვებას, სამზეოზე გამოტანა ვამჯობინეთ იმის იმედით, რომ სხვაც გაეცნობოდა. თუ რაიმე საამისო წერილობით ჩვენებას ვერ იპოვიდა თავის აზრს (დადებითს ან საწინააღმდეგოს) მაინც გამოთქვამდა.

მინაწერი: თუ ეს გადმოცემა სწორია, მაშინ ეს ფაქტი (დიდი ომის წინ ოსმალთა ფაშების სტუმრობა ლესას) არ შეიძლებოდა გამოპარვოდა რუსეთის დაზვერვას.

ეს რომ გაირკვეს, აუცილებელია საამისო არქივის ძიება, რაც ქართულ საისტორიო მწერლობაში დღემდე არავის ჩაუტარებია.

და არა მხოლოდ ესაა შესასწავლი, არამედ დავით უფლისწულის სოფიო გურიელის ამალაში ყოფნაც, როდესაც უფლისწულს შეეძლო შორს გაჭრილიყო ოსმალთა იმპერიაში და იქ მისრეთის არაერთ ფაშას შეხვედროდა.

ესეც საარქივო ძიებას მოითხოვს.

ღრმადაა შესასწავლი უფლისწულის მთელი ცხოვრება, მაგრამ უფრო ცხოვრების უკანასკნელ წლებში (1854-1856 წწ.).

უფლისწულის ნაადრევი (54 წლის ასაკში) გარდაცვალებაც (1856 წლის 19 ნოემბერი) მოითხოვს საგანგებო შესწავლას.

ასევე შესასწავლია უფლისწულის პიროვნება -ის სრულებით არ ჰგავს თავისი დროის ფეოდალებს. შესანიშნავი მოღვაწეა – უფრო ახალი ტიპისა, რომლის მსგავსები გურიაში აქა-იქ სხვებანაც ჩანდა: – მიხეილ ნაკაშიძე – მიქელგაბრიელში, მიხეილ ერისთავი – სოფ. გორას, ჯამბაკურ ერისთავი – სოფ ვოგოლესუბანს (ჩოხატაურის რაიონი) და ალბათ სხვებანაც.

**იური სიხარულიძე,**
პროფესორი.

# ეპოქა ფირალთა ზეობისა
# მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი, №2--4 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

გურულის ბუნება ურთულესი იყო. ფირალად გავარდნის, კაცთა კვლის, ტერორისტობისა და ოქმრის ურთიერთშერწყმა „ერთარსში“ და „ერთსახებაში“ ნამდვილი „საოცრების რანგში“ იყო წარმოდგენილი ნინო ნაკაშიძე წერდა:

„ბევრჯერ დავფიქრებულვარ იმაზე, თუ რა არის გურული ხალხის განსაკუთრებული თვისება, რაში გამოისატება ის შესანიშნავი ზნეობრივი ძალა, ის უხილავი სულიერი ძაფები. რომლითაც ვიზიდავთ გურული ხალხი. ქალი და კაცი მათ სიახლოვეს, მათთან კავშირს თქვენთვის საამდე ხდის. ჩემის ფიქრით მომხიბლავი თვისება გურულებისა - მათი ცოცხალი ნიჭი, სულის სინაზე, მგრძნობიარე გული და მოსწრებული სიტყვა-პასუხია. გურულ კაცთან მუსაიფი თავის დღეში არ მოგწყენდათ.

გურული კაცის გულში მუდამ ჟამს ჩუხჩუხებს ძვირფასი, ცხოვრების შემსალისებელი და შნოს მომცემი საუნჯე-სიცილის ნაკადული. სევდა-დაღრეკილობის გულიდან განმდევნი და ენერგიის შემქმნელი წმინდა ანკარა ნიჭი.

ყველამ კარგად იცის, რამდენად დაწინაურებულია დღეს გურია წერა-კითხვის ცოდნითა და განათლების წყურვილით. კერძო საუბრის დროს (გურულები) ისეთ რამეებს მომიყვებოდნენ რომ გაოცებული ვრჩებოდი.

„ცოცხალი ნიჭის“, „მგრძნობიარე გულისა“ და „მოსწრებული სიტყვა პასუხის“ მქონე გურული თოფ-იარაღს ასევე „მოსწრებულად“ და მიზან აუმცდარად ხმარობდა. მრავალგზის მონაცემები და ფაქტები ადასტურებს ამას.

გურიაში გურულთა მასობრივი მღელვარების, ყაჩაღობის, ტერორის, ძარცვა-გლეჯის, გასშირებული ავაზაკობისა და შექმნილი „კლასობრივად დამბული სიტუაციის შესწავლის მიზნით კავკასიის უმაღლესი მმართველობის მიერ წარმოგზავნილი „უმაღლესი საბჭოს წევრს“-სულთან კრიმ გირეის ჟანდარმთა როტმისტრი როჟანოვი 1905 წლის 24 თებერვალს მოახსენებდა:

ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრამ, თავისი ამბოხი სულითა და ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებებით, გასშირებული ყაჩაღობებითა და ავაზაკობით ჯერ კიდევ 1882 წლიდან მიიპყრო უმაღლესი მმართველობის ყურადღება, რაც სათანადოდ იყო შეფასებული და გაანალიზებული, ამავე წლის 24 სექტემბრით დათარიღებულ გენერალ სმეკალოვის პატაკში კავკასიის უმაღლესი მმართველობისადმი.

გურიაში შექმნილ ვითარებას იმნაირად ალღო ვერ აუღო და თავი ვერ გაართვა ხელისუფლების ადგილობრივმა მმართველობამ. სცოდავდნენ თითქმის ყველანი: მაზრის უფროსიდან დაწყებული ადგილობრივი თავადაზნაურობით. ბაქაულებით, მურავებითა და თვით სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ჩათვლით.

ზოგიერთი სულწასული ღვთის მსახური არად აგდებდა თავის უწმინდეს მოვალეობას და ხშირად სხვას ეკიბრებოდა ქურდობა-დატაცებაში. ერთადერთ შეუბღალავ სიწმინდედ იმნაირად საზოგადოებას სურების წმინდა გიორგის ეკლესიის ღობის კარელის ხატი მიაჩნდა, და ქედს იხრიდა მისი ძალისხმევისა და სასწაულმოქმედების წინაშე.

საუკუნის დასასრულს „გურიის მღელვარებას“ განსაკუთრებული აგრარული ხასიათი მიეცა, რასაც ტონს აძლევდა და აძლიერებდა ისტორიის სარბიელზე ახლად წარმოჩენილი „წითელი აგიტატორები და პროპაგანდისტები“.

განსაკუთრებით სცოდავდნენ მურავები. მოსავლის რაოდენობის შეფასებისას, სიმინდის აღებისა და განაწილებისას უკეთესი „გამოსავლიანი პირობა“ ეძლებოდა იმ პირს, ვინც ერთ ქცევა საკან მიწაზე ორ მანეთს გაიღებდა მურავის სასარგებლოდ.

გამმაფრდა და დაიძაბა ვითარება. გაბშირდა მკვლელობები. ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გურიის მოსახლეობა ქედგაცხელია და ფეიქბადი. გურულები შეურაცყოფას არავის აპატიებენ. მათში ამ დროს იღვიძებს სისხლის აღების დაუცხრომელი წყურვილი. მკვლელობის გაფიქრება და აღსრულება ერთია. შეჩვეული არიან საუკეთესო ჩაცმა-დახურვას ბუნებით არიან ლაღნი და შემართულნი. გურული ეს მუდმივი მეამბოხეა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1882 წლის მოვლენებმა ღრმა კვალი დაჩნია მათ შემდგომ ცხოვრებას. აგრარულ ნიადაგზე წარმოქმნილ კრიტიკულ მდგომარეობას, მემამულეთა და თავად-აზნაურთა წინააღმდეგ დაპირისპირებას.

ყოველივე ზემოხსენებული ნათლად გამოიკვეთა გასული წლის ოქტომბერში გურიის სოფლის საზოგადოების შეხვედრის დროს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სმგინთან. რასაც პირადად ვესწრებოდი მე.

1882 წლის მოვლენებსა და „სმეკალოვის ეპოქაზე“ გურიაში მაშინ ლეგენდები დადიოდა: 1883 13 იანვარს გაზ. „დროება“ წერდა:

„ეი ათას რვასს ოთხმოცდამესამე წელიც დაგვიდგა, და ახალმა კალენდარ ვერ ვერ ვერობით ვერაფერი სასიამოვნო მოგვიტანა-ჩვენს განთქმულ „ბალოცვასა" და „ბუნას“ გადასხებასაც რაღაც სილაზათე აკლდა. ეს სულ იმ მიზეზის გამო იყო, რომ ჩვენ ვერ ვეღირსეთ იმ მოლოდინის (აღსრულებას) რომელიც ასე სანატრელია ყველა გურულისათვის.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სმეკალოვის ბრძანებით ჩვენმა ხალხმა იგრძნო ძველი სულთამხუთავი ატმოსფეროს შეცვლა (უარესის დამკვიდრება) და თავისი აღტაცება გამოხატა პოეზიის საშუალებით“, რითაც ხოტბა - დიდება შეასხა ბატონ სმეკალოვს და იგი „ახალი ჭირის“ სახელწოდებით მოიხსენია.

სმეკალოვთან ერთად „კბილი გაჰკრეს“ ოდიშიდან გურიაში მობრძანებულ ოზურგეთის მაზრის უფროსს ოტია დადიანს, რომელიც მსგავსად სმეკალოვისა „მეგრული სახადათ“ -

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# სკანვორდი






## №3-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ონორე დე ბალზაკი; საზღვარი — სამანი; სააგენტო — იფრინდა; სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში — ლეღვა; ქართული ლუდი — ნატახტარი; იტალიის ქართველი გმირი — ფორე მოსულიშვილი; დიდი ხნის ბალზამირებული მიცვალებული — მუმია; ფეროს ქალაქი — ზესტაფონი; თხელი წყალი მდინარეში — ფონი; მუხის ნაყოფი — რკო; სამხედრო ტანსაცმელი — კიტელი; ჭალა დაბლობში — მერე; მინანქარი — ემალი; გაზი — აირი; ბედაური გამომცემლობა — მერანი; ამერიკის პრეზიდენტი — ობამა; შხამიანი მწერი — ობობა; ჯიმოლუნგმა — ევერესტი; ყველაზე წყალუხვი მდინარე — ამაზონი; იმერი და ... — ამერი; წამალდამოკიდებული — ნარკომანი; ხელმეორედ რომ არ იგონებენ — ველოსიპედი; შინაური ფრინველი — ბატი; კაენის ძმა — აბელი; ნაგებობა — შენობა; ჩანთოსანი ცხოველი — კენგურუ; ქართული ტელეკომპანია — იმედი; მსახიობი — არტისტი; ქათმებზე მონადირე მხეცი — მელია; მთების მწკრივი — ქედი; დედამიწის ყველაზე გრძელი განედი — ეკვადორი; ბიჭო აჭარულად — ჯო.

# ეპოქა ფირალთა ზეობისა
# მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

მეგრელ ბატონებად შერაცხეს.

*„ჭურას რომ ჭირი გაჩნდა, მის დღეში არ მოგვსწრებია,*

*რა ჭირია, რომ ვკითხეთ: - მეგრელი ბატონებია.*

*ოზურგეთში გაჩნდა პირველ, ამბობენ გადმღებია,*

*წამლიც ალარ მოეწყო, ყამისგან მონადგებია.*

*სამკურნალოდ მოგველინა, სახელადაო სმკალო,*

*ისე გაჰხდა ქვეყანა, როგორც სპილენძი მოკალო.*

*ყამი მობრძანდა, ყვიროდა: რა ტყვილა თავი ვიკალო.*

*ჭურას შენც დაეთხოვე, ოდიშშიც არ იკრკალო!*

*დატკბა, დადუმდა ქვეყანა, მის დღეში რომ არ მოშხდარა,*

*არც არავინ გაძარცულა, არც თოფით ვინმე მომკდარა:*

*მგონია მკვდრებიც გაცოცხლდნენ, ავადაც არვინ გამხდარა,*

*მისი ოჯახი დეიქა, ვინც რომ ამდენ ხანს არ თქა რა!"*

*შემდეგში როცა ბატონი სმკალოვი პეტერბურგში წამრძანდა*

*და ჩვენ (ადგილზე) დავრჩით. ისევ ძველი ადმინისტრაციის ხელში ხალხს ცოტათი არ ეჭაშნიკა, და ისე, მოჩვენა ჩვენი ახალი მდგომარეობა, როგორც ძველ გუდაში ახალი ღვინო. მაშინ წინად მოყვანილი ლექსიც უაზროდ დარჩა, რადგანც სრულ განთავისუფლებას დიდი მსალა დაკლდა და ჩვენი ლექსი დაგვრჩა ისე, როგორც რუსთველი ამბობს: „აშანაგთა სათრეველად“.*

*რასაკვირველია ჩვენს მკითხველს ეხსომება შარშანდელი ჩვენი ჭაპანწყვეტა ავაზაკებისაგან განთავისუფლების შესახებ. სამსზე მეტმა თავადაზნაურმა და მასთან მრავალმა სოფლის საზოგოებამ ერთხმად მოახსენეს (მთავარმართებელ) დონდუკოვ-კორსაკოვს ჩვენი ცუდი მდგომარეობის მიზეზები და თანაც დაუსახელეს ის პირებიც, რომლებიც ზნეობით დაბნამავე იყვნენ გურიის ცუდი მდგომარეობისა.*

*მაგრამ წარმოიდგინეთ ამსათანავე იმათი მდგომარეობა, ვინაც მთავარმართებელს უკმაყოფილება განუცხადა ზოგიერთ აქაურის მართველობაზედ, ისინი უარეს შეეწროებაში არიან ახლა.*

*„ერთის იმ პირთაგანს, რომელიც თვით თავადაზნაურობისაგან დეპუტატად ამორჩეული, ბატონ დონდუკოვის მობრძანების დროს, კაცები დაუხვდრეს გასალახად, როცა ღამით სასტუმროდან გამოდიოდა.*

*მეორეს, რომელიც სოფელში ცხოვრობს შეურჩეს მამასახლისი, რომელიც ყოველ დღე „დანოსებს“ გზავნის სხვადასხვა გამოგონილ ცილის წამებით, (ამ დეპუტატის სახიანოდ).*

*მესამეს ქალალდი შეუგდეს სახლში, ვითომ ავაზაკებს მიეწეროს მისთვის რაიმე საგულისხმო როგორც თანამგრძნობელისთვის.*

*ალსანიშნავია, რომ ყველა ამგვარი საქმე ემართებათ იმ პირებს, რომელთაც ხელი მაწერეს საჩივარზე „ოზურგეთის მაზრის ოტა დადანისა და ძმთა მისთა წინაადმდგ“.*

*ვიღაც ყაჩღებმა, - წერდა გაზ. „ივერია“ შიშის ზარი დასცეს გურიის მკვიდრთ; ამ ყაჩღების შიშით დღეს ჩვენში ხუთი-ექვსი კაცი თუ არ არის ერთად, გზად სვლას ველარავინ ბედავს. ქალები და ბავშვები სახლიდან ველარ გამოჭაჭანებულან, ზოგიერთები თვითონ თავიანთ სახლშიაც ალარ გახლავან უშიშრად. აგერ ერთი კვირა არ გასულა მას შემდეგ რაც სოფელ ჩოჩხათში ერთის გლეხის ვაჟლაბობას დაუცნენ ყაჩღები. საწყალი სახლის უფროსი კაცი სულ ერთიანად დაჰკეპეს, თუ რამ ნივთი ეპადა, წაართვენ და გაუდგნენ თავიანთ გზას. ხარის, ძროხისა და სხვა საქონლის მოპარვას ხომ საზღვარი არა აქვს. ოზურგეთის სიახლოვეს ისე დღე არ გავლის, რომ ვისმე საქონელი არ მოიპარონ.*

*საწუხარო და სასაცილო კიდევ ის არის, რომ ზემოხსენებული ყაჩღები ზნეობის მომძლავრებასაც ჩემობენ. ადამიანს, რომლის ვაჟებებს ეს ყაჩღები „ობისკ“ - ს უშვრებიან, თუ არაფერი ამადა, ესე იგი ან ფული ან ნივთი არა აქვს, სულ პანღურის ცემით დაკეკენ, როგორ იქნება ასე ხელცარიელი გზაში წასვლაო! მეორეხელ არ მოგვიდეს ეს ბაიყუშობა თორემ სულ ამოგწყვეტთოო.*

*- რა ვქნა, ღარიბი ვარ, არაფერი გამჩნია, ემუდარება თურმე ყაჩღებს იმ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სანამ კარგა (გვარიანად) არ შეზელენ, მანამ არ მოეშვებიან.*

*„ნუ ზარმცობ, გაანძრიე ხელი და ალარ იქნები ღარიბი“, დაამარებენ თურმე ეს თავგასული მორალისტ-ეკონომისტები მიატანენ კიდევ რამდენიმე პანღურს და გაისტუმრებენ*

**ენვერ გოგუაძე**

---

# იური ჩიხლაძის ხსოვნას



28 ივნარს 50 წელი შეგის რულდებოდა, ჩვენო კეთილო ადამიანო. ხუთი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენგან წახვედი, დაგვიტოვე მოსაგონარი დღეები.

მართალი კაცის სახელით იცხოვრე ამ ქვეყნად. ყველა დიდი სიყვარულით გიხსენებს. ძალიან გვაკლია შენი ომახიანი შემოძახილი, სითბო და სიყვარული. ჩვენ დავკარგეთ ძვირფასი მეგობარი, ოჯახმა ერთგული მეუღლე, მამა და მოსიყვარულე ბაბუა.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ჩვენო უსაყვარლესო მეგობარო. ძალიან გვენატრები.

შენი მეგობრები: **ზოთა, ავთო, ბესო, ნუგზარი, ნანა, ნელი ლეილა, ნატაშა, ნათია, ნინო.**

# ვნატრობ, ორმოცდამეხუთე დაბადების დღეს შენთან ვიყო



43-ჯერ მოგილოცეთ სიცოცხლეში პირველი თებერვალი, შვილო რამაზ. გლოცავდით, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებდით. ორმოცდამეოთხე პირველი თებერვალი უშენოდ გაუთენდა შენს უბედურ მშობლებს, მეუღლესა და ერთადერთ ვაჟიშვილს ვაკოს, რომლის დავაჟკაცებაზეც ოცნებობდი. ვერ მოესწარი 6 წლის უნახავი მეუღლის ნახვას.

შენს დაბადების დღეს დიდი სუფრით ვხვდებოდით. წელს კი შენს ახალ ოჯახში მოგილოცეთ, რომელიც ცივი ქვებით არის შემოსაზღვრული. ვნატრობ, შვილო, რომ ორმოცდამეხუთე დაბადების დღეს შენთან იყოს შენი უბედური დედა. უზომოდ მენატრები, უშენობა მტკივა და ვიტანჯები. ენატრები შენს გაწამებულ მამასაც, რომელიც გეძახის, გეძებს და ვერ გპოულობს. შენს ძმას, ძმიშვილებს, დეიდასა და დეიდაშვილებს უშენობით გამოწვეული სიცარიელე გულს უკლავს.

ყველა ახლობლის, მეზობლისა თუ მეგობრის გამოხედვაში ვგრძნობ შენს უსაშველო მონატრებას.

საათობით ვზივარ გარეთ. მეც ისე მათოვს, როგორც შენს საფლავს. შენსკენ სავალ გზას ვეძებ. მგონია, რომ გიღალატე და მიგატოვე.

გილოცავ, შვილო რამაზ, უშენო დაბადების დღეს!

მშობლები **ვალერი და ემილი შანიძეები**

# ფლები ადამიანებს ღირსებას მატებენ ან სახეს უპარგავენ
# გურამ კუნჭულია

გურამ კუნჭულიამ 86 წლის განმავლობაში ღირსეულად ზიდა ქართველი კაცის, კარგი მამულიშვილისა და ოჯახის უფროსის ტვირთი. წავიდა და შთამომავლობას საამაყო სახელი და მის გვერდით გატარებული ლამაზი დღეების მოსაგონარი დაუტოვა.

ღმერთი დაუმკვიდრებს მის სულს ნათელს და სიმშვიდეს.

**ქეთევან და ნინო ქადიეშვილები.**

# მურად პაპავა
## ლამაზი სიცოცხლე

ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართულ ოჯახში ქალი ყოველთვის თავისი ქალობით - პატიოსნებით, სინდისით კდემამოსილებით და საერთოდ ოჯახის სიყვარულით ფასდებოდა, კაცი კი — ვაჟკაცობით, სიტყვისა და საქმის ერთიანობით. ასეა დღესაც, ოჯახი ხომ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია, სწორედ ასეთი ოჯახების კატეგორიას განეკუთვნებოდა ბაილეთში ქალბატონი ციცოსა და ბატონი მურად პაპავების ოჯახი. მაგრამ 2015 წლის 27 დეკემბერს ეს ლამაზი წყვილი ერთმანეთს დაშორდა, გარდაიცვალა მურად პაპავა. 27 დეკემბერი კი უდიდესი ტკივილის დღედ დარჩა ბაილეთელებისათვის, დიდსა და პატარას — ყველას ცრემლი ედგათ თვალებზე, ყველა ტიროდა. იგი ხომ ყველას უყვარდა, ვინც კი იცნობდა მას. მურადი ხომ მეგობრობისა და სიყვარულისათვის იყო დაბადებული. გამორჩეოდა უსაშველო პურმარილითა და სტუმართმოყვარეობით, რაც ტრადიციად ჰქონდა მიღებული მშობლებისაგან — ქალბატონი ფლორენციასა და ბატონი ტიტესაგან. ამ მხრივ უდიდეს მხარდაჭერას გრძნობდა მეუღლის, ქალბატონი ციცოსაგან, რომელთანაც შექმნა შესანიშნავი ოჯახი, აღზარდა ღირსეული შვილები — ანა, ნინო, ტიტე, ამყობდა სიძით — კახათი, შვილიშვილებით — ავთოთი და ქეთით, რომელთაც თავის სულისდგმას უწოდებდა.

არსებობს კოლხური გამოთქმა:

„ვერა გავუგე სიკვდილსა,

ვერ ჩაწვდა ჩემი გონება,
შიგ აღმოაჩენს ვაუკაცსა,
რომელიც მოეწონება“.

როგორც ჩანს, სიკვდილსაც მოეწონა ჩვენი მურადი. მისი გადარჩენისათვის ყველაფერი გააკეთეს მეუღლემ, შვილებმა, სიძემ, დებმა, ახლობლებმა, მაგრამ უძლურნი დარჩნენ იმ ავადსახსენებელი სენის წინაალმდეგ, რომელიც მას შეეყარა. ჩვენ კი ის დაგვრჩენია უდიდესი სიყვარულით მოვიგონოთ ჩვენი ძმა და მეგობარი, დიდბუნებოვანი ვაუკაცი, თავისი სოფლის — ბაილეთის ერთ-ერთი ულამაზესი, კოლორიტული პიროვნება, რომელიც არასდროს არ ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან. მან მართლაც ლამაზი სიცოცხლით იცოცხლა.

მეგობრებისა და ახლობლების სახელით: **ზორაბ დავითაშვილი, სპარტაკ მამულაიშვილი, სოსო მამულაიშვილი, თენგიზ მამულაიშვილი, გურამ მელუა, მევლუდ ცერცვაძე, პაატა გოგოტიშვილი.**

# გურამ მუჯირი



გარდაიცვალა ცნობილი პოლიგრაფისტი გურამ მუჯირი.

გურამ მუჯირი 1934 წელს დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყო და გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ოზურგეთის სტამბაში დაიწყო მუშაობა მბეჭდავად. მან მალე ითვისა პოლიგრაფისტის პროფესია და საამქროს უფროსად დაწინაურეს. ისეთ დროს მოუწია სტამბაში მუშაობა, როდესაც გაზეთი „ლენინის დროშა“ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ორგანო, გურიის რეგიონული გაზეთი გახდა და მისი ტირაჟი 17.500 ცალი იყო. გურამ მუჯირი, თავის მეწყვილე ნოდარ მეგრელაძესთან ერთად (იგი ადრე ოზურგეთის „კოლმეურნეს“ ფეხბურთელი იყო) ბეჭდავდა ამ გზეთს, რასაც ისინი მაღალკვალიფიცურად ასრულებდნენ. ეს გაზეთი ერთ-ერთ მაღალტირაჟიან და პოპულარულ გამოცემად ითვლებოდა საქართველოში.

80-იანი წლებში ოზურგეთის სტამბა მძლავრ პოლიგრაფიულ გაერთიანებად ჩამოყალიბდა და ახალ შენობაში გადავიდა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე. გაზეთი „ალიონი“ (1990 წლის 4 აპრილიდან იგი გამოდის, როგორც თავისუფალი დამოუკიდებელი გაზეთი), ოფსეტურ ბეჭდვაზე გადავიდა, რისთვისაც ახალ სტამბაში თანამედროვე ოფსეტური დანადგარები იქნა შეძენილი. გურამ მუჯირმა სწრაფად ითვისა ახალი ტექნოლოგიური სისტემა

გასული საუკუნის 90-იანი წლების რთულ პერიოდშიც გვერდით ედგა გაზეთ „ალიონს“, ხოლო შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის ფილიალში მუშაობდა ტექნიკურ თანამდებობაზე.

რედაქცია-სტამბის კოლექტივს გურამ მუჯირი ახსოვს, როგორც კარგი მეგობარი, პროფესიონალი პოლიგრაფისტი, საუკეთესო ოჯახის მამა, კარგი ოზურგეთელი.

**მეგობრები**

# უშენობა იგრძნობა ყველგან, ჩვენს ირგვლივ

მხოლოდ ღმერთმა იცის როგორ გვენატრები. გვენატრება შენი ღიმილი, შენი ხმაურიანი შეძახილი. უშენობამ დაისადგურა ჩვენ სახლში, უშენობა იგრძნობა ყველგან, ჩვენს ირგვლივ.

შენ ჩვენი ცხოვრებიდან წახვედი უხმაუროდ. ახლობელი და მისაწვდომი გახადე ამ ქვეყნიდან წასვლა. ერთი სიტყვაც არ დაგიბარებია შენი საყვარელი „დესვის“ და დეიდა-შვილებისთვის. იტანჯება შენი დეიდა, დეიდაშვილები იმედა და დათო. დათო, რომელიც უკანასკნელ წუთამდე სასტუმალს არ მოგცილებია.

1 თებერვალი შენი დაბადების დღეა. 44 წელი შეგისრულდებოდა. მოვალთ სოფლავთან სანთლებს დაგინთებთ, მაგრამ შენს ლამაზ სახეს ვერ ვიხილავთ.

უფალს ვავედრებთ შენს სპეტაკ სულს, ჩემო საყვარელო დისშვილო რამაზ.

**დარეჯან დეიდა, დეიდაშვილები იმედა და დათო**

ოზურგეთის სკოლა-ინტერნატის კოლექტივი თანაუგრძნობს მაყვალა ჭელიძესა და გია, ზაზა, ნინო მუჯირებს მეუღლისა და მამის **გურამ მუჯირის** გარდაცვალების გამო.

ყოფილი გაზეთ „ლენინის დროშის“ სტამბა-რედაქციის კოლექტივი იუწყება ვეტერანი მუშაკის **გურამ გიორგის ძე მუჯირის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე გენადი, შვილები ნანა, თამაზი, ავთანდილ ცერცვაძეები იუწყებიან **ადელიკო ბოლქვაძე-ცერცვაძის** გარდაცვალებას. დაიკრძალა 31 იანვარს (სოფ. თხინვალი).

# ნატანებელი ავთო მახარაძე საქართველოს ჩემპიონია

23 იანვარს, ქ.თბილისში, საქართველოს მიღწევათა საგამოფენო პავილიონის დარბაზში ,ქვეყნის 2016 წლის პირველობა ჩატარდა ქართულ (მოკლე) ნარდში, რომელშიც თბილისელებთან ერთად საქართველოს რეგიონებიდან 268 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩემპიონატზე რეგიონების წარმომადგენლობა, მასში შემავალი მუნიციპალიტეტების რაოდენობის მიხედვით იყო განსაზღვრული. თავიდან გურიას 5 ადგილი ჰქონდა გამოყოფილი. თუმცა მას შემდეგ, რაც გურიის ნარდის ფედერაცია ქვეყნის მასშტაბით ყველაზე წარმატებულ ორგანიზაციად იქნა აღიარებული, მას ჩემპიონატისათვის კიდევ ხუთი ადგილი დაემატა. გურული მონარდეების ათკაციან წარმომადგენლობას მეთაურობდა ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ სალუქვაძე, მასში შედიოდნენ ზურაბ ქავთარაძე - გურიის ჩემპიონი, ბეჟან ცეცხლაძე - ქალაქ ოზურგეთის ჩემპიონი, ავთანდილ მახარაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩემპიონი, მერაბ წილოსანი და მინდია დვალიშვილი -ლანჩხუთიდან, დავით ბარამიძე და დავით ტყეშელიაძე - ჩოხატაურიდან, ნუგზარ რუხაძე – ქალაქ ოზურგეთის ჩემპიონატის პრიზიორი, ფედერაციის წარმომადგენლები-ტარიელ ჭყონია და ხალამპრე დოლიძე, ასევე, ამჟამად თბილისში მცხოვრები ოზურგეთელი სოსო ტულუში.

ჩემპიონატში გარკვეული ქვოტით მოწვეული იყო კულტურის, სპორტის და ხელოვნების საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სახეები. საჩემპიონატო დარბაზის კედლებზე გამოფენილი იყო საქართველოში ნარდის ისტორიისა და დღევანდელობის ამსახველი ფოტოები, რომელთა შორის საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა ოზურგეთში გამართულ გასული წლის მუნიციპალურ და რეგიონულ ჩემპიონატებს და ტურნირებს.

საკუთრივ ჩემპიონატი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. წყვილთა შორის თამაშები 7 ქულამდე გრძელდებოდა („დავიის“ წესის გამოყენებით) ჩემპიონს გამარჯვებისათვის რვა მეტოქის დამარცხება სჭირდებოდა, რაც კარგად მოახერხა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ჩემპიონმა და გურიის ვიცე-ჩემპიონმა ნატანებელმა ავთო მახარაძემ და მეტად საინტერესო ფინალის მოგებით დამსახურებულად . გახდა საქართველოს 2016 წლის ჩემპიონი. რაც შეეხება გურიის სხვა წარმომადგენლებს, 2-3 ეტაპი თითქმის ყველამ გადალახა, ხოლო მათგან ლანჩხუთელი მერაბ წილოსანი 16 საუკეთესოში მოხვდა, სოსო ტულუშს და ზურაბ ქავთარაძეს კი, ოდნავ ნაკლები შედეგი ჰქონდათ და 32 საუკეთესოში მოხვდნენ.

ჩემპიონატს სპონსორობას უწევდა შპს „ლიდერ-ბეთი“, რომელსაც საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი ჰქონდა დაწესებული პრიზიორებისათვის .

გურიის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ სალუქვაძემ ჩვენთან საუბარში კმაყოფილება გამოხატა ჩემპიონატში გურულების მონაწილეობით და მიღწეული შედეგებით. მისი თქმით, წლეულს ფედერაციას დაგეგმილი აქვს საკმაოდ საინტერესო ღონისძიებები როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მასშტაბით, რომელშიც ჩართვის საშუალება ექნება ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ყველა ნარდის მოყვარულს.


## ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა. რ


# გუბერნატორმა ავთანდილ მახარაძეს საქართველოს ჩემპიონობა მიულოცა

29 იანვარს გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ ავთანდილ მახარაძეს საქართველოს ჩემპიონობა პირადად მიულოცა და საჩუქრად წმინდა გიორგის ხატი გადასცა.

26 თებერვალს სტამბულში საქართველოს სახელით ბატონი ავთო ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. გუბერნიაში გამართულ შეხვედრას ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე და გურიის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ სალუქვაძე დაესწრნენ.

# საუბარი ფერებით

ახალი შემოქმედებითი წელი ქალაქ ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში ბრწყინვალე გამოფენით დაიწყო. ჩვენი საექსპოზიციო დარბაზი დაეთმო ქართული კულტურის, კერძოდ მუსიკალური და სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეუფასებელი წვლილის შემტანი, გენიალური ქართული ოჯახის, დიდებული ტრადიციების გამგრძელებლებს, მამა-შვილს, ჯარჯი და ანტონ ბალანჩივაძეებს.

ეს გახლავთ ერთობლივი პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ორმოცდაცხრა ფერწერული ტილო, მათ შორის ოცდაათი აწ გარდაცვლილი ჯარჯი ბალანჩივაძის, ცხრამეტი კი ანტონ ბალანჩივაძის ავტორობით. ქალბატონი ქეთევანის (ჯარჯი ბალანჩივაძის მეუღლე) თქმით, მისი მეუღლის ნამუშევრების დიდი ნაწილი ევროპაში, სხვადასხვა კერძო კოლექციებსა თუ მუზეუმებშია განთავსებული. მას მხოლოდ ორმოცდათამდე ნამუშევარი დარჩა საქართველოში, აქედან ოცდაათი ჩვენი დამთვალიერებლებისთვის გამოიფინა, რაც ნამდვილად ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებია. მისი სამყარო პოეტური და რომანტიკულია. წერის მანერა სრულად ფერებზეა აგებული. პეიზაჟები, ნატურმორტები თუ სხვადასხვა კომპოზიციები ზღაპრულია, ძალიან ღრმა სივრცე და სუფთა ფერები ლივლივებს მის ტილოებზე.

ანტონი გახლავთ თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული წარმომადგენელი. ის მუდმივად აწყობს გამოფენებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მონაწილეობს საქველმოქმედო აუქციონებში, ნამუშევრები ინახება კერძო კოლექციებში და რაც მთავარია მისი შემოქმედება გამოიფინა ლუვრში, ალბათ თქვენც მიხვდით, რამდენად საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთულია მისი ცხოვრება.

ანტონის მხატვრობა მკვეთრად ინდივიდუალური და საინტერესოა. საოცარი სითბო, სიყვარული და გულწრფელობა გეგებება, როცა ათვალიერებ ტილოებს. შესანიშნავი ფერთა გამა, რბილი მონასმები, მშვიდი დინამიკა აერთიანებს ამ ადამიანის მხატვრულ სამყაროს.

თემები, რომლებზეც სხვადასხვა კომპოზიციებია შექმნილი ჩვენთვის ნაცნობია, ამაზე შეიძლება ყველას გვიფიქრია, მაგრამ ავტორი სრულიად სხვაგვარი თვალთახედვით წარმოგვიდგენს, მაგალითად, ყველაზე მგრძნობიარე და მტკივნეულ თემას ქართველთათვის - ლტოლვილები. ადამიანთა სახეები,ფერები, ნამუშევრის სახელიც კი „ზურგის ქარი, ლტოლვილები“ უხმოდ გვაგრძნობინებს იმედს, გვმატებს სიმშვიდეს და თითქოს გვეუბნება - ყველაფერი კარგად იქნება. აქვეა „მცველი“„ფრონტის წინა ხაზზე ”, რომელთა პერსონაჟებიც, როგორ ზემოთ აღვნიშნეთ ,უჩვეულო, რბილი მონასმებითაა შექმნილი და ცოტა არ იყოს ირეალურ გარემოს ქმნის, რომელიც ამავდროულად ცხადი და ნამდვილია.

საინტერესოა, რომ მხატვრის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეთმობა გურულ თემატიკას. ბავშვობიდან გამოყოლილი ემოციების, შთაბეჭდილებების, მოგონებების საფუძველზეა შექმნილი არაჩვეულებრივი ტილოები „ნაცარა ვაშლის ისტორია“ და „ჯუმათი“, რომელიც ავტორმა უსახსოვრა ჩვენი ცენტრის ფონდს.

მადლობა ბალანჩივაძეების დიდ ოჯახს და პირადად ბატონ ანტონს ასეთი სასიამოვნო სურპრიზისთვის და ძვირფასი საჩუქრისთვის. ვიტოვებთ იმედს მომავალი შემოქმედებითი თანამშრომლობისა.

**ლია ურუშაძე,**
ხელოვნებათმცოდნე.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 1 თებერვალი | 2 თებერვალი | 3 თებერვალი | 4 თებერვალი | 5 თებერვალი | 6 თებერვალი | 7 თებერვალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +3+12 | წვიმა, -3+6 | მზე, +4+11 | მზე, +7+14 | მზე, ღრუბელი +10+18 | მზე, ღრუბელი +9+16 | მზე, +5+15 |
| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |